3-67



ხუ-მელ-კრიტიკული ჟურნალი

№ 19

წელიწადი მეორე

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვეთ კოოპერატიული რძე

„ლ ი ლ ო“

მერძევეთა ამხანაგობა „ლილო“ თავისი ნამდვილი და ჰიგიენური რძით მოიპოვა კარგი ბაზარი და ახლა აფართოვებს თავის საქმეებს, რითაც შეძლება მიეცა მსურველთ მიაწოდოს საუკეთესო რძე ბინაზედ, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭლით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებზე: რედაქცია „კლდე“ **Габаевскій пер. № 3.** და ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: **Барятинская 5.**

ფრანგულ-კავკასიური

სავაჭრო და სამრეწველო ბიურო

„ივერია“

პარიზში

იძლევა ყოველ გვარ ცნობას,

ჰყიდის მადნეულობას და სხ.

ადრესი: Paris Faubourg Montmartre 10

33(03)
Ї-67

კლდე

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲔᲙᲝᲜᲝ-
ᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 19

5 მაისი 1913 წ.

მიიღება ხელის მოწერა ფასი 1 წლ.,—5 მან. 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ.—1 მ. 50 კ., 1 თვ.—50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და ღმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი: ილიას ძეგლი.—**ეკ. გაბაშვილისა.** ბოდიტეხნიკუმის კარშემა. ტურფა და გოხვი.—**დუტუ მეგრელისა.** ქალის სიყვარული.—**კარდანახელისა.** წარსული, აწმეო და მომავალი ხიზნობისა.—**ალ. ყიშიძისა.** ახალი ამბავი. ქართულ-კახეთის თეკ.-აზნ. საქმეები.—**რ. ბ.-ესი.** ამბავი გაქსუეტულ ადამიანისა და სამარიტელ გოგონასა.—**ირ. სონღულაშვილისა.** ოკტრა და ხელოვნება.—**რაესი.**

ილია ჭავჭავაძის სურათი გადაღებული 1899 წ.
როგორც გადმოგვცეს, ეს სურათი თვით ილიას საუკეთესოდ მოაჩნდა. მისი პირველი კლიშე შეკვეთილი ეფეთა ლეიპციგში.

ილიას ძეგლი

რა არის ძეგლი და რისთვის უგებს შთამოება თავის ერის მასახელებელს ძეგლს სადიდებელს? ჩვენ ილიას, ჩვენ დიდ ილიას, დიდ მოამაგეს, ბრწყინვალე მგოსანს, რა ძეგლს აუგებთ?

ეი კითხვები, რაც გულს აღელვებს და რასაც ქალის, ქართველის ქალის სულის კვეთება თავს დასტრიალებს!

და თვალთ მიყენებს ქვას გამონაკვთულს კაცის გენიით, იმის ხორცშესხმულს და განათებულს!

ილიას ძეგლი, დღეს 5 მაისს, ყველა ქართველის თვალთა წინა აღიმართება და ნათლადა ჰყოფს ილიას წარსულს, ილიას სახელს—ამ კაცს ოქროსას, რკინის სიმკვიდრით ლამაზად ხელქმნილს, თვალმარგალიტით ერის მადლობით უხვად შეჭედილს და ძეგლი ესე შეიმოსება ქართველთ დიდებით, თაყვანებით ტ თან გოდებით, სინანულით და სულის ქენჯნით, რომ ბრბომ ვერ იცნო თვისი მშვენება და თვისი ბელადი და გოლგოთაზედ, ვით ქრისტე მხსნელი, ჯვარზედ გააკრა, დაფნის გვირგვინის სა-

მაგიერად ეკლით შეუმკოთ შუბლი მაღალი, მირონ-ცხებული.

ასე ვოცნებობ, ასე ვირდგენ ძეგლს, თან მინდა ზედ, ჩვენგნით აღმართულს, მაგრამ...

ვის ძალუძს, ან სად არის გენიის ხელი, რომ ქვას უსულოს სული ჩაუდგას, მაში ააგოს ტაძარი ჩვენის სასოებისა, ჩვენის ძვირფასის, ჩვენის დიდების, ჩვენის მშვენების, ილიას დიდის? არა, არ არის, ჯერ არ არის მარჯვენა იგი, ვინც ქვას აცოცხლებს და მასში სახავს ერის სულის თქმას! არ არის იგი და ამას ვტირი...

მაგრამ დრო მოვა, დრო წარმოშობავს ხელოვანს ძლიერს და ის მომავალს შთამოებას უკეთ აუგებს ნაკვთს ილიასას და უკვდავად ჰყოფს იმისსა სახელს და წაუშლელად დაამკვიდრებს იმის ხსენებას იმის მშვენებას, მის ღვაწლს დიდებულს ქართველთა გულში.

ეკ. გაბაშვილისა.

პოლიტეხნიკუმის გარშემო

საკითხი კავკასიის პოლიტეხნიკუმის შესახებ ისე აჩქარებულად და უთავბოლოდ გადასწყდა, რომ ჩვენ პირდაპირ გვრცხვენიან იმ პირთა მაგიერ, რომელნიც მიწვეულ იყვნენ ეთქვათ თავიანთი ავტორიტეტული აზრი და ნამდვილად კი თვით განიცადეს ავტორიტეტიც და კომპეტენციაც ბატონ ხატისოვისა.

ის ფაქტი, რომ საპოლიტეხნიკუმო კომისიაში უწყებათა წარმომადგენელნი საბურთალოს მომხრედ გამოვიღნენ, მრავალ მნიშვნელოვანია. მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ეს უწყებათა წარმომადგენელნი დამარცხდნენ და გაიმარჯვა კრების იმ ნაწილმა, რომელიც მომხრე იყო ნავთლულისა. დაინტერესებულ პირთ სურთ -ის ელფერი მისცენ საქმეს, ვითომ ამ საკითხში იბრძოდა ერთის მხრით ბიუროკრატია და მეორეს მხრივ საზოგადოებრივი აზრი, თბილისელ ხმოსანთა სახით. თუ ასე შევხედეთ საკითხს, მაშინ რასაკვირველია ჩვენ უნდა სალამი უძღვნათ გამარჯვებულებს. მაგრამ ყველასთვის ცხადია რომ საქმე სწორედ ასე არ იყო. სამოსწავლო ოლქის მზრუნველიც, ფინანსთა მინისტრის წარმომადგენელიც, მეფის მოადგილის საბჭოს წევრიც, გუბერნატორიც და მრავალი კიდევ სხვა, ამ საკითხში სალ და ნათელ აზრს იცავდნენ და საზოგადოებრივი აზრიც მათ მხარეზე იყო. მაშ როგორ მოხდა, რომ ისინი დამარცხდნენ. ჩვენ ვიცით კავკასიის მთავრობის თავგადასავლ[illegible] [illegible], როცა ეს მთავრობა იმარჯვებდა [illegible], [illegible] იგი აშკარად ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ აზრს. მაშ როგორ მოხდა, რომ იგი დამარცხდა მაშინ, როცა მას მხარს უჭერდა თვით საზოგადოებრივი აზრიც?

ეს უკვე საკითხი კი არა სფინქსია, რომლის გამოცნობას ჩვენ არ ვკისრულობთ.

ჩვენ, რასაკვირველია, ერთის წუთითაც არ ვფიქრობთ, რომ ეს გარდაწყვეტილება უმაღლეს მთავრობის სანქციას მიიღებდეს. დარწმუნებულნი ვართ იგი ხელახლად იქმნება განხილული თანახმად საღის გონებისა და არგუმენტებისა, მაგრამ თვით ინციდენტი იმდენად საყურადღებოა, რომ არ შეგვიძლიან არ შევჩერდეთ მაზედ. ამ ინციდენტში ჩვენ ძალაუნებურად საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როცა, რაღაც გაუგებრობის გამო, მთავრობამ თავისი თავი ჩრდილში თითონ დააყენა, სახუმარო საქმეა განა ისეთ მდგომარეობის შექმნა, როცა წინააღმდეგ საღ მოსაზრებისა, წინააღმდეგ უწყებათა წარმომადგენლების და საზოგადოებრივ აზრისა, საკითხს სწყვეტს და იმარჯვებს პატარა ჯგუფი სომეხ ხმოსანთა, სულ რაღაც თერთმეტი კაცი, რომელთა ზრახვანი ჯერ კიდევ გამოსაცნობელ არიან. ჩვენ არამც თუ არ ვაღვიარებთ მათ არგუმენტებს, არც კი გვჯერა მათი, რადგან არც ისეთი გულუბრყვილონი ვართ, რომ ბატონ ხატისოვის წმინდა სომხური საქმე ქალაქის ინტერესებად მივიჩნიოთ! მაშ ვინ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მთავრობის წარმომადგენელნი სათამაშოდ გახდნენ ხატისოვის და სხვა სომეხთა ხელში და კომისიაში მოჰყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც არ დაინდვეს თვით მთავრობის პრესტიჟი? მით უმეტეს რომ ასეთ შემთხვევებში მთავრობა არამცთუ სცდილობს სათანადო სიმაღლეზედ იდგეს, არამედ არც არას დროს არ ორჭოფობს და ორ ბანაკად არ იყოფა, როგორც ეს ეხლა მოხდა.

საკითხავია, რიღასთვის იყვნენ კომისიაში მოწვეულნი სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, გუბერნატორი, ფინანსთა მინისტრის წარმომადგენელი, მეფის მოადგილის საბჭოს წევრი და მრავალი კიდევ სხ. რიღასთვის იყო საჭირო მათი მოსაზრებანი, თუ ყოველი ახალი სახელმწიფო დაწყობილობა თბილისის ქალაქის კასის თვალსაზრისით იხილება და თუ ყველაზედ მაღლა მთელ სანამესტნიკოში ხატისოვის აზრი სდგას?

პოლიტეხნიკუმის საკითხში ჩვენ ვცნობთ მხოლოდ ორ ინტერესს. სახელმწიფო და საზოგადო კავკასიურს; ასე უყურებს საზოგადო აზრი, ასე შეხედეს, გვგონია, თვით უწყებათა წარმომადგენელებმაც და როცა წინააღმდეგ ამისა, თავზედ გვახვევენ ბატონ ხატისოვისგან მოჭორებულ ინტერესს, ცხადია ამით იმის თქმის ნებასაც გვაძლევენ, რომ სახელმწიფო და საზოგადო კავკასიურ ინტერესის გარდა პოლიტეხნიკუმის საკითხში არსებობს ჩვენთვის უცნობი კიდევ რაღაც სხვა ინტერესი, რომლის შინაარსს ჩვენ სასტიკად გვიმალავენ.

სახელმძღვანელო პრინციპი ყველა საკითხის გადაწყვეტაში ის არის, რომ ყურადღება მიქცეული უნდა იყოს მთავარ საგანზედ და მეორე ხარისხოვან მოსაზრებათ არ უნდა დაჰფარონ იგი. ჩვენ ვფიქრობთ რომ პოლიტეხნიკუმის საქმეში უმთავრესი ადგილი უჭირავს თვით პოლიტეხნიკუმის ინტერესებს.

თუ რამდენად ჭეშმარიტია ეს აზრი, სჩანს იქიდანაც, რომ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის კრებაზედ ყველა ის ნეიტრალური პირი, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ განსაკუთრებით თვით პოლიტეხნიკუმის ბედით და არა რაიმე გარეშე მოსაზრებით, — ერთხმად მიემხრნენ გადაჭრით საბურთალოს პროექტს კი არა, არამედ ისეთ სპეციალისტ და მცოდნეთა კომისიას, რომელიც დაწვრილებით გამოიკვლევს ყველა ადგილების ღირსებას. (ასეთ პირებად იყვნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი **რუდოლფი** გუბერნატორი გ. ა. **ჩერნიავსკი,** სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგე ბ-ნი **ბეზობრაზოვი,** მეფის მოადგილის საბჭოს წევრი ბ ნი **ჯუნკოვსკი,** ვიცე გუბერნატორი **პანოვი,** ქალთა უმაღლეს კურსების დირექტორი პროფ. **ბლ გოვიდოვი,** თბ. საკანტროლო და სახაზინო პალატების უფროსები, წყალთა სამმართველოს უფროსი **პეტროვი,** მიწათ-მოქმედების და მოწყობის სამინისტროს მთავარ გამგის რწმუნებული—ბ-ნი **შაშკოვსკი** და სხვანი).

მაშინ როდესაც გარდაწყვეტით მიემხრნენ ნავთლუღის პროექტს ქალაქის თვითმართველობის ათი ხმოსანი და ხატისოვი, რომელნიც უნდა ჩაითვალნენ არა მარტო გარეშე მოსაზრებით დაინტერესებულად, არამედ პირადათაც, რადგან ბევრს მათგანს კერძოთაცა აქვს მიწები ნავთლუღში.

მაგრამ გადაჭრით სოლოლაკელთა აზრმა მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვა, რომ მოსაზრებათა და საპოლიტეხნიკუმო ადგილის ღირსებათა შეფასება კი არ მოხდა ამ კრებაზედ, არამედ დამტკიცება წინასწარ განზრახულისა, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო სენატორ ვატაცის **ნების ყოფამ.**

ნების ყოფა კარგია, თუ მისი გასამართლებელი საფუძველი მაინც არის რამე, მაგრამ სენატორ ვატაცის, როგორც გადმოგვცეს, იმის გარდა არა გაუმეორებია რა, რაც სთქვეს დაინტერესებულ ხმოსნებმა და ხატისოვმა **ქალაქის** ინტერესები მოითხოვენ, რომ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში იყოს. ეს ისეთი შეუსაბამო სახელმძღვანელოა, რომ დაუჯერებელ ამბად მიგვაჩნია: ქალაქის ინტერესებისათვის, მისი მიწების ფასის აწევისათვის—პოლიტეხნიკუმი უნდა სასაფლაოსა, სასალახოსა, კაზარმებსა და მთელი თბილისის სანაგვეს შუა დარგონ. არ ვიცით, რამდენად ასწევს ეს ფასს ქალაქის და „ხატისისტების" მიწებისას, მაგრამ ეს რომ მომავალ სტუდენტობას და ქალაქის მცხოვრებთ არა ჰიგიენურ პირობებში აყენებს — ეს ცხადია. გაზის ქარხანას, საავადმყოფოს, სამ რკინის გზის სადგურს, თქვენ დაუმატეთ ქარი, რომელიც, აწ ცნობილ ოგანჯანოვის აზრით, თვეში მარტო 11 დღეს ამუშავებს ადამიანსა—და თქვენ წარმოგიდგებათ ნამდვილი ჯანსაღი და ღონიერი პოლიტეხნიკუმი, გაფურჩქვნილი, როგორც ვარდი საპატივოზედ. მაგრამ ვაი რომ უმაღლესი სასწავლებელი და მოსწავლენი ვარდის ბუჩქი და ყვავილნი არ არიან.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი შეუსაბამო გარდაწყვეტილება ვერ გამაგრდება და უხვი შემწირველნი საუკეთესო ადგილებისა საბურთალოზედ, ოღონდ სანატრელი სასწავლებელი შესაფერ ადგილზედ იყოსო აგებული, ყოველ ღონეს იხმარენ, რომ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის გარდაწყვეტილება საბოლოო არ გამოდგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურფა და გონჯი

მინახავს ტურფა, შორიდანვე რომ თვალს ჰხიბლავდა,
ვით ანდამატი თვისს შვენებით გულს იზიდავდა,
მაგრამ ვაი რომ, როცა ახლოს მას გაიცნობდით,
მის მიმართ მხოლოდ გამოუთქმელ შიშსა იგრძნობდით!

—

მინახავს გონჯიც, კაცს რომ ნახვა ეზარებოდა,—
თვალს არიდებდა, ცდილობდა არ მიჰკარებოდა;
მაგრამ თუ ბედი გარგუნებდათ მის გაცნობასა,
დაივიწყებდით ულამაზო გარეგნობასა
და, რომ კეთილი, მშვენიერი იპოვეთ სული,
თავს მოიხრიდით მის წინაშე, გახარებული!..

დუტუ მეგრელი.

ქალის სიყვარული

(გაგონილი ინგუშებში)

თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი... მოსვენებას ვერ პოულობდნენ. გაშტერებოდნენ ერთმანეთს... კოცნა დაღს სტოვებდა; უ-ვალავი იყო! ხანგრძლივი ხვევნა დაღლილობას ჰგვრიდათ და ყველა ალერსი პირველად მიაჩნდათ... მისცემოდნენ თავდავიწყებას; გონება ჩლუნგდებოდა... ალარა იყო რა საფიქრებელი. ერთმანეთი სწადდათ, ერთმანეთისკენ მიისწრაფებოდნენ, ნანატრი სახიერდებოდა!..

* * *

ახალგაზრდობა სათარეშოდ იკრიფებოდა. შეყვარებულს სატრფო არ უშვებს... წაუსვლელობა კი არ შეიძლება! ლაჩრობას დასწამებენ, სიმხდალეს... სოფელს ველარ დაენახვება!.. იარაღს შინჯავს, ემზადება...

— სახსოვრად დამიტოვე რამ, ეხვეწება მტირალი ქალი.

— მითხარ რა მოგცე, აბა რა მაქვს, რა მაბადია?

— კბილი დამიტოვე, შენი კბილი.

ტკივილს გაუძლო, მოიგლიჯა სალი კბილი, უძღვნა სახსოვრად.

* * *

ორ კვირამდე დათარეშობდნენ. ბედი არა ჰქონდათ. ყველგან მოიგერიეს, უკუ-აგდეს... გულგატეხილებმა უდავლოდ გამოსწიეს შინისკენ... მაგრამ შეყვარებული აჩქარებს ცხენსა. მისი გული მაინც შინისკენ მოიწევს. მიაქროლებს ცხენს, დაწინაურდა მახარობელივით. სოფელს მიუახლოვდა .და მოჰკრა სატრფოს შორითვე თვალი. დერეფანში ზის, ხელსაქმეშია გართული... ეზოში შაიჭრა... ჩამოხტა ცხენიდან, მიჰვარდა.

ქალი წამოდგა.- რა გინდა, ვინა ხარ?

— ველარ მიცანი, მურგუსტა? მე ვარ შენი სატრფო... სახსოვრად კბილი რომ მოგეცი.

კბილი! ხო!.. მოიგონა ქალმა.

შებრუნდა ოთახში, გამოიტანა ჩანთა კბილებით სავსე. წამოჰყარა.

— ყველა ეს კბილები საყვარლებმა დამიტოვეს... იცანი შენი... ერთი მათგანი იქნება, მონახე...

ბევრი ათვალიერა მურგუსტამ, ბევრი ეძება, თავისი კბილი კი ვერ ნახა.

ქარდანახელი.

წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა*)

III

წინა წერილებიდან, ვგონებთ, საკმარისად გამოირკვა, რომ ძველი ისტორიული ხიზნობა საფრთხეს არ წარმოადგენდა არც ხიზნისთვის არც მამულის პატრონისათვის. ხიზანს იფარავდა ადათი, ჩვეულობა, ხოლო მამულის პატრონს საკუთრების უფლება მამულზე. 1864 წლ. კანონის 8 მუხლმა ხიზანს გუნება შეუცვალა და „ახირებული პრეტენზია" გაუღვივა გულში. მამულის პატრონს შეეშინდა ამ არა ჩვეულებრივ პრეტენზიისა და სასამართლოს მიმართა—თავიდან მომაშორეთ შორიდან შემოხიზნული კაცი. სასამართლომ საჩივარი შეიწყნარა და გამოიტანა განაჩენი—აიყაროს ხიზანი სახიზნო მამულიდან და სადაც უნდოდეს იქ წავიდეს. სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანა მუდამ ძლიერს, გაბედულს და ოამამს ადმინისტრაციას გაუჭირდა. მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი მ. ნ. კუჩაევი მოგვითხრობს, რომ განაჩენების სისრულეში მოყვანამ ახალი დავი-დარაბა გამოიწვია და ალაგ-ალაგას დავი-დარაბას არეულობაც ზედ დართოვო. თავის-თავად ცხადია, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო. ხიზანმა სამართლიანად დაინახა სასამართლოს განაჩენში სრული ულოლიკობა მთავრობის საქციელისა. 1864 წლ. კანონმა შარბათი დაალევინა ხიზანს და ახლა კი სასამართლოს ბოქაულის პირით ეუბნებოდნენ—ხრაკიანი არაყი მიირთვიო, ესე იგი აიკრიფე გუდა-ნაბადი და მიბძანდი იქ, საიდანაც მოსულხარო. უეჭველია, რომ ასეთს უსიამოვნო საუბარს თან ახლდებოდა ჩაფრები მათრახის ტურტურიც[1]). რაღა გასაკვირველია, რომ ხიზანი ხრაკიან არაყის დალევას არ მოისურვებდა და გაჭირვეულდა, ფეხსაც არ მოვიცვლი ადგილიდანაო. ადმინისტრაციამ ფარხმალი დაჰყარა და სასამართლოს განაჩენი სისრულეში აღარ მოიყვანა. ასეთი დამარცხება ადმინისტრაციისა—ფასდაუდებელი გამარჯვება იყო ხიზნისა.

ტფილისის გუბერნატორმა არლოვსკიმ 19 ღვინობისთვეს 1869 წელს 1068 ნომრით აუწყა ეს ამბები მეფის მოადგილეს დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს და მოახსენა, რომ საკუთრების უფლება იმ მამულზე, რომელზედაც ხიზნები ბინადრობენ, მამულის პატრონებს ეკუთვნით, მაგრამ იძულებით აყრა დიდს ზარალს მიაყენებს ხიზნებს და სულით ხორცამდე დაჭლუპავსო. რომ ეს არ მოხდეს, არლოვსკი სთხოვდა მეფის მოადგილეს შემოეღო ასეთი წესები: 1. დარჩნენ ორის წლით ხიზნები იმავე წესით, რა წესითაც აქამდისინ სცხოვრობდნენ. უფლება მივცეთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ხიზნებმა ნებაყოფლობით პირობანი დასდონ მამულის ბატონებთან მამულის სარგებლობისა და ხმარებისა მომავალში და **ვაიძულოთ** ორივე მხარე, რომ ამავე ვადაზე წერილობით გააკეთონ საიჯარო ქალალდები (რუსულად: письменные договоры на наемъ земель). 2. ვაიძულოთ ის ხიზნები, ვინც ამ ვადაზე ვერ მოურიგდება მამულის პატრონს, თავის დროზე შეატყობინონ სახელმწიფო მამულების გამგეობას, რომ მორიგება არ მოხდაო. გამგეობაზე იქნება დამოკიდებული მიუზომოს ასეთს ხიზნებს სახელმწიფო, ან საეკლესიო*) მამული იქ, სადაც თვით ხიზნები აირჩევენ და უჩვენებენ, ან და სადაც თვით გამგეობა მოისურვებს. 3. ვაიძულოთ მამულის პატრონი გადუხადოს წასულ ხიზანს სახლკარისა და საოჯახო შენობის ღირებულობა. ფასის გაღების შემდეგ შენობანი მამულის პატრონს უნდა დარჩეს, როგორც საკუთრება. 4. მივანიჭოთ ხიზანს უფლება დაიხსნას სასახლკარო ადგილი და მინდვრის მიწები, მთავრობის დახმარებით, სწორედ ისე, როგორც აქვთ მინიჭებული ასეთი უფლება დროებით ვალდებულებს. მამულის დახსნისათვის უსათუოდ საჭიროა მამულის პატრონის ნებართვა.

1869 წლის რაპორტი (№ 1068) არლოვსკისა ფრიად საყურადღებოა. ტფილისის გუბერნატორს სავსებით დავიწყებია საკუთარიევ აზრი, რომ ხიზნობა თავისუფალი ინსტიტუტი იყო და ერთის კალმის მოსმით ამ თავისუფალ ინსტიტუტს ხასიათს უცვლის და გვერდში უყენებს დროებით-ვალდებულ კაცის მდგომარეობას. არლოვსკი არც იმას უფიქრდება, თუ სად გაჰქრა ძველებური **უწყინარი** ურთიერთობა ხიზნისა და მამულის პატრონისა და როგორ მოხდა, რომ საბოქაულოდ და საჩაფროდ

---

*) იხ. „კლდე", №№ 13, 15, 16, 17 და 18.

[1]) საპოლიციო დარაჯთა გუნდით.გალიციანმა შემოიღო 1901 წლიდან. მანამდისინ ჩვენში ჩაფრობა იყო. ქართლში ჩაფრობას ძალიან ეტანებოდა ოსობა. თვეში ჩაფარს თავის ცხენით, სმა-ჭამით ეძლეოდა 12—15 მან.

*) 1869 წ. საეკლესიო მამულები ჯერ საბოლოოდ არ იყო ჩამოართმეული.

გახდა საქმე. იმის მაგიერ, რომ ყურადღება მიექცია 1864 წლ. კანონის მე-8-მუხლისათვის და მოეთხოვნა მისი აღსნა და განმარტება, იგი ურჩევს კავკასიის უმაღლეს მთავრობას—ხიზნებს ისე მოვეპყრათ, როგორც დროებით ვალდებულ კაცსა, ესე იგი ნაყმევსა და ნაბატონარსაო. მართალია, არლოვსკიმ ერთ-ერთი ბილიკიც გამოსძებნა ხიზნობის ამოსაფხვრელად: სახაზინო და საეკლესიო მამულებზე გადავასახლოთო, მაგრამ ახალ გზად არც ეს რჩევა ჩაითვლება.*) 1864 წ. ადგილობრივი დებულება უფლებას ანიჭებდა მცირე მამულიან ბატონს (თუ 60 დღიურზე მეტი არა ჰქონდა) ნადელი არ მიეცა თვის ნაყმევისთვის და მოეთხოვნა, რომ მისი ყმანი სახაზინო კაცებად ჩაეწერათ. მეფის მოადგილეს უფლება ჰქონდა აგრედვე გაენთავისუფლებინა მცირე მამულიანი მებატონე (თუ 120 დღიურზე მეტი არა ჰქონდა) ნახევარ მამულის ნადელად მიცემის ვალდებულებისაგან და მის ყმებისათვის მიეზომა სახაზინო. ან საეკლესიო მამული იმავე პირობით და საფუძველით, რა პირობითაც უჭირავთ სახელმწიფო კაცებს სახაზინო მიწები.

ერთის სიტყვით, უმაღლეს სფერებში ნელნელა ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ ხიზანსა და ნაყმევ კაცს შორის მაინც და მაინც დიდი განსხვავება არ არსებობსო. თანდათან მწიფდება ის აზრი, რომ ხიზანი უნდა დაუქვემდებაროთ სპეციალურ საგლეხო დაწესებულებას და ავაშოროთ სამოქალაქო კანონთა (X ტომი) იურისდიქციას, რომელიც განაგებს მიწის დაქირავების, საიჯაროდ აღების წესებს. ამ აზრმა დასრულებული ფორმა მიიღო 1910 წ., როდესაც შეადგინეს ერთნაირი კანონი იძულებით მამულის დახსნისა.

1875 წ. არლოვსკიმ კვლავ მოახსენა მეფის მოადგილეს, რომ საქმე რთულდება და იწეწებაო. ხიზნები უჩივიან მამულის პატრონებს, გადასახადს გვიმატებენო, ხოლო მამულის პატრონნი თხოულობენ ან გადაასახლეთ ხიზნები, ან ძალა დაატანეთ, რომ წერილობითი პირობანი დაგვიწერონო. ვიდრე საქმე გამოირკვევა და ხიზანთა საქმე გადაწყდება მე ვცდილობ მომრიგებელ-შუაკაცთა და მაზრის უფროსთა დახმარებით, მორიგებით მოვაწესრიგო საქმეო, მაგრამ ჩემი მეცადინეობა უშაოოდ რჩებაო. მამულის პატრონები გადასახადს უმატებენ ხიზნებს და ვინც არ ემორჩილება ასეთს მოთხოვნილებას, იმას ასახლებენ მამულიდან—სასამართლოს განაჩენების ძალითაო.

ამის გამო გუბერნატორი არლოვსკი სთხოვდა მეფის მოადგილეს, ვიდრე ხიზანთა საქმე საბოლოოდ გადასწყდება, ტფილისის გუბერნიის ადგილობრივ დებულების მე-8 მუხლის მიხედვით, ცირკულიარული განკარგულება მოახდინეთ, რომ ხიზნები დარჩნენ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც იყვნენ 1864 წლის 13 ღვინობისთვემდე, რომ ასეთის საშუალებით დავიფაროთ ხიზნები მამულის პატრონთა მძლავრობისაგანაო (რუსულად: произволъ землевладѣльцевъ). განკარგულება, რომელსაც არლოვსკი თხოულობდა დიდის მთავრისაგან, უნდა ყოფილიყო დროებითი და ამავე დროს სავალდებულო ამიერ კავკასიის ყველა საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებისათვის.

ნაამბობიდან ნათლად სჩანს, თუ რა ევოლიუცია განიცადა ადმინისტრაციამ ხიზანთა საქმეში. ჯერ მოიწონა და ქება-დიდებით შეავსო ძველი ხიზნობა, შემდეგ 1864 წლ. კანონში მოაქცია მერვე მუხლი, ბუნდოვანი და ხიზნისთვის გაუგებარი, და სულ ბოლოს თავისუფალი ურთიერთობა მიწის იჯარით აღებისა გაუთანასწორა ნაყმევ კაცის დროებით ვალებულებას, გვერდი აუხვია სამოქალაქო კანონებს (მე-X ტომს) და მთელი, უკვე გამწვავებული და წამხდარი საქმე ცირკულიარის ბედზე მიაგდო.

არლოვსკის მოსაზრებანი განიხილა 1876 წ. გლეხთა ყოფა-ცხოვრების მომწყობმა კომიტეტმა და დაადგინა: 1. დაევალოს ტფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოებს, შეკრიბონ ცნობანი ადგილობრივ, თუ რა ყოფაში არიან ხიზნები; 2. დაევალოთ საკრებულოთა წევრებს ამ ცნობების შეკრების დროს მორიგებით გათავონ ხოლმე ხიზანთა და მამულის პატრონთა შორის ატეხილი დავი-დარაბა და ეცადონ, რომ ხიზნებმა და მამულის პატრონებმა დასდონ ურთიერთ შორის, ნებაყოფლობით, მამულის ქირით აღების კონტრაქტები (რუსულად: контракты на наемъ земельныхъ участковъ); 3. წარმოადგინონ საკრებულოებმა შეკრებილი ცნობანი მთავარ სამმართველოში და დასკვნანი, თუ რა ზომები და ღონისძიებანია საჭირო ხიზანთა საადგილ-მამულო ყოფა ცხოვრების მკვიდრად მოწყობისათვის და 4.

*) ხიზნებმა არ ისარგებლეს არლოვსკის რჩევით და პირობები არ დაუწერეს მამულის პატრონებს, რომ ვქირაობთ თქვენს მამულსაო, არც სახელმწიფო და საეკლესიო მიწებზე გაიწიეს. ხვეწნით არც სახელმწიფო ქონებათა გამგეობა "ეჰხვეწნია მათ—ჩემს უბე-კალთას შეაფარეთ თავიო.

ვიდრე საბოლოოდ გადაწყდება ხიზანთა საქმე, 13 ღვინობისთვის 1864 წლ. კანონის მე-8 მუხლის ძიხედვით, სადავო საქმენი ხიზანთა და მემამულეთა შორის ჩამოერთვას სასამართლოებს და გადაეცეს საგლეხო საკრებულოებს, რომელნიც გაარჩევენ ასეთს საქმეებს ადათისა და ჩვეულების მიხედვით იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 1861 წლ. 19 თებერვლის კანონში სადავო საქმეთა გარჩევისათვის.

კომიტეტის ასეთი დადგენილება სავსებით შევიდა სახელ განთქმულ 1876 წლის ცირკულიარში, რომელსაც ხელი მოაწერა სანამესტნიკოს მთავარ მართველობის უფროსმა სენატორმა კლუშინმა და დაუგზავნა ამიერ-კავკასიის სასამართლოებს და საადმინისტრაციო დაწესებულებათ 13 თიბათვეს 301 ნომრით. ამ ცირკულიარის გაგზავნის დღიდან სასამართლო ხელს ველარ ახლებდა ხიზანთა საქმეს, რომლის სრული გამგებელი გახდა ადმინისტრაცია და მისი ორგანოები — საგუბერნიო საგლეხო საკრებულონი და მომრიგებელი შუა-კაცნი. ეს ორგანონი თან ცნობებს აგროვებდნენ, თუ რას წარმოადგენდა ხიზნობა და თან სწყვეტდნენ და არჩევდნენ ხიზანთა და მემამულეთა შორის ატეხილ დავი-დარაბას. მაშასადამე გამართლდა ოცნება ხიზნობისა — 1864 წლ. კანონმა ჩვენც გაგვანთავისუფლა და მამული დაგვირიგაო. იმათ საქმესაც ისე არჩევდა და სწყვეტდა მომრიგებელი შუა-კაცი, როგორც ნაბატონარის საქმეს. მოხდა სრული გაერთიანება.

სენატორ კლუშინის ცირკულიარმა მთელი ეპოქა შექმნა ხიზანთა საქმეში. მამულის პატრონს ისე მაგრად ამოსდო ლაგამი, რომ განძრევის თავი აღარა ჰქონდა. აყრით ვერ აჰყრიდა ჯიუტს, აბეზარს და უსიამოვნო შემოხიზნულს კაცს. თუ სასამართლოს მიჰმართავდა საჩივრით, მოსამართლე მკვახედ ეტყოდა — ტყუილად თავს რად მაბეზრებთ, ეგ ჩემი საქმე არ არის (რუსულად: не полсудно), თუ მომრიგებელ შუაკაცთან მივიდოდა, ბევრს სანუგეშოს ვერც იქ იპოვნიდა. აი ამის მიზეზი. ცირკულიარის გამოქვეყნების დროს გორის მაზრაში, სადაც აუარებელი დროებით-ვალდებული გლეხობა იყო და სადაც აგრეთვე ბინადრობდა ხიზანთა უმრავლესობა, მხოლოდ ორი მომრიგებელი შუაკაცი იყო. მეორე რაიონის მომრიგებელი შუაკაცი თ. გ. ი. ციციშვილი სცხოვრობდა თავის სოფელ ხვედურეთში და აქედან უნდა მოევლო თვალგადუწვდენელ რაიონისთვის: სათარხნო, საჯავახო, საციციანო, საამირაჯიბო, საფალავანდიშვილო, სახერხეულიძეო და საფავლენიშვილოსთვის. კანონით მომრიგებელ შუაკაცს არც მდივანი ჰყავდა, არც ქაღალდის გადამწერი. კანონი იმასაც ავალებდა მომრიგებელ შუაკაცს, რომ ადგილობრივ გაერჩია ხოლმე სადავო საქმენი. აბა ერთი იფიქრეთ განა წარმოსადგენია, რომ ერთი მოსამართლე გაუძლევს ამოდენა რაიონს? მომეტებული ნაწილი ხიზნობისა შეჭუჭყული იყო მიუვალ მთა-გორებში და ხეობებში, საითკენაც მარტო საცალ-ფეხო ბილიკები მიდიოდა. ასეთს პირობებში მოდი და სინიდისიერად აასრულე მოვალეობა და დროზედ მიეცი მომჩივანს პასუხი. ვსთქვათ მომრიგებელი შუაკაცი ჩიტივით დაფრინავს, ბედაურ ცხენს ზედ ზურგზე აკრავს და დღეს რომ საქმე გაარიგა საჯავახოში, ხვალ დაიბადა საამირაჯიბოს თავში, საჩხერის პირას, ან კავკასიონის ქედის ტოტებზე, ფრონის ხეობის სათავეში. მერე რითი იხელმძღვანელოს ხიზნის საქმის გარჩევის დროს. დროებით-ვალდებულ კაცის მოვალეობა გამორკვეულია და აღნუსხული კანონით. მეოთხედი, ან მესამედი შოსავლისა ბატონისაა. ნაჩვენებია გრამოტაში ვადაც, როდის უნდა ჩააბაროს ბატონს ღალა-კულუხი, რამდენ ვერსზე წაიღოს, რამდენი დღიური უნდა მოხნას, და სხვა. საჩივრის გარჩევა და ქმნა სამართლისა ასეთს პირობებში არ არის ძნელი. სულ სხვა იყო ხიზნის საქმე. მაშინ სახიზნო კანონი არ არსებობდა (1891 წლ. კანონი). ასე გასინჯეთ, უბრალო დარიგება რა არის, ან ინსტრუქცია, ისიც კი არ დააყოლეს 1876 წ. ცირკულიარს, თუ როგორ, რა წესით უნდა გაერჩიათ მომრიგებელ შუაკაცებს სახიზნო საქმენი. თქმა იმისი, რომ ეს საქმეებიც ისე უნდა გაირჩეს, როგორც ირჩევა სადავო საქმე დროებით-ვალდებულისა, არაფრის თქმას უდრის. მაგალითად დროებით-ვალდებული მოვალეა გადიხადოს მეოთხედი მოსავლისა. ეს, ან სხვა ამგვარი მოთხოვნილება კანონისა, როგორ მივუყენო, თუ მამულის პატრონი იჩივლებს, რომ ხიზანი არ მემსახურებაო, იმ 86 კომლ. ხიზანს, რომელთა ვალდებულება ასეა აღნუსხული: ѣздятъ съ помѣщиками. იტყვიან, რაკი კანონი გარკვეულს არას ამბობს, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ ხიზანთა ჩვეულებითო. სიძნელე საქმისა სწორედ აქ არის. ცირკულიარმა ძველს ჩვეულებას საძირკველი გამოუთხარა და ეხტიბარი გაუტეხა და როგორ უნდა გამოიყენო იგი. მომჩივანი ერთს ამბობს, მოპასუხე მეორეს. თუ გინდა რომ სიმართლეს მიაგნო, მეტად რთული და სამძიმო გამოძიება უნდა მოახდინო. ძველად მედიატორებმა ანაბანასა-

ვით იცოდნენ ჩვეულება და მთავრობის მოხელეს საიდან ეცოდინება ყოველივე წვლილი ხიზანთა ჩვეულებისა, მით უმეტეს, რომ ყოველი ხიზანი თავისებურ პირობით სახლდებოდა სხვისა მამულში. ან რომელი ხიზანი უჩვენებდა მომრიგებელ შუაკაცს სისწორით თავის მეზობლის წინააღმდეგ, თავს ვინ გაიმეტებდა. შიშსა და მოკრძალებასაც თავი რომ დავანებოთ, თვით მოწმის ინტერესი მოითხოვდა, ძველი ადათი აერ-დაერია და მეზობლისათვის ევნებინა, რადგან ეს აქლემი ხვალ იმის კარზე დაიჩოქებდა. როცა ჯერი იმაზე მიდგებოდა, მეზობელი იმას უმოწმებდა და ვალს მოიხდიდა. დაღესტანში დღესაც მოქმედობს საადათო სასამართლო, მაგრამ კარგი იქ ისაა, რომ მოსამართლენი თვით ხალხისაგან არიან არჩეულნი და ზეპირად იციან ქვეყნის ადათი, ჩვენში კი ადათს ძალა შეუნახეს ხიზანთა საქმეების გარჩევის დროს და მოსამართლედ მთავრობის მოხელე დააყენეს, კაცი შორიდან მოსული და სრულიად უცოდინარი ადგილობრივ ადათისა და ჩვეულებისა. ბევრგან ამის გამო ისე აიწეწ-დაიწეწა საქმე, რომ აღარ იცოდა მამულის პატრონმა იმის რა იყო და სხვისა რა. განსვენებულმა მომრიგებელმა შუაკაცმა თ. ს. ნ. ვეზირიშვილმა, კაცმა ფრიად განათლებულმა, მოიწადინა მოეწყო როგორმე აწეწილ-დაწეწილი საქმე თვის მშვენიერ მამულ ტამაში (ზომით 1129 დესეტინა) და ვერ ეღირსა ამას, ვიღაც ბოროტმა ადამიანმა წუთი-სოფელს გამოასალმა *) კაცი დაიღუპა, მაგრამ ვერც ტამელებმა ისარგებლეს ამ მშვენიერი მამულით და დღეს იგი საკუთრებაა დაღესტნიდან მოსულ ფულიანის კაცისა.

ეს მოკლე მიმოხილვა და გათვალისწინება წარსულისა გვიჩვენებს, თუ რა უმგზავსად მოეწყო ხიზანთა საქმე ქართლში. რაკი ორი მამრიგებელი შუა-კაცი ფაქტიურად უძლური შეიქმნა საქმის სადავე ხელში მაგრად დაეჭირა, ხიზანთა საქმე ღვთის ანაბარად დარჩა. სენატორ კლუშინის ცირკულიარის შემდეგ დიდს ხანს აღარც არლოვსკის უცოცხლია; მის შემდგომმა გუბერნატორმა სრულებით არა იცოდა რა ხიზნობისა და უმაღლეს მთავრობას არ აწუხებდა რაპორტებით ამ აუტანელ მდგომარეობის გამო, რომელსაც განიცდიდნენ მამულის პატრონნი. სწორედ ამ ხანებში გაჩაღდა კულტურა „ახოებისა". *) დაბურული ტყეები ძირს დაეცა. მამულის პატრონები სჩიოდნენ — ტყეები გაგვიჩეხეს ხიზნებმა, ღალას არ გვაძლევენ, შიმშილით ვიხოცებითო. მომრიგებელნი შუა კაცნი [illegible] მეთვალყურეთ, ადგენდნენ განაჩენებს, მაგრამ 5—6 წელიწადი გადიოდა, ვიდრე იმათ სისრულეში მოყვანა ეღირსებოდათ. ჯერ საჩივარი შეჰქონდათ საგლეხო საკრებულოში და შემდეგ სენატში. იქიდან კი 5—6 წელიწადზე ადრე საქმე არა ბრუნდებოდა და განაჩენიც აუსრულებელი რჩებოდა. ისე დაწვრილმანდა ხიზანთა საქმე, ისეთი ელფერი მიიღო, რომ მარტო მოგონება მ. შინდელის დროისა ეხლაც უსიამოვნობას იწვევს. რაღაც ნახევარ ჩანახ ლობიოზე და 5—6 ჩანახ ახალთესლ ქერზე საჩივარი სენატში იგზავნებოდა. აშის გადახდაც აღარ უნდოდათ და უსამართლოდ მიაჩნდათ მისი გაღება და სიამოვნებით მიცემა. ოთხმოციან და ოთხმოცდა ათიან წლებში საგლეხო საკრებულო მარტო ხიზნების საქმეს უნდებოდა. დროებით-ვალდებულნი აღარას სჩიოდნენ, ან რა ჰქონდათ საჩივლელი, იყო თითოოროლა მათი საქმე, ისიც შესახებ საკუთრებისა. ძველის სიგელ-გუჯრებით ედავებოდნენ თავიანთ ყოფილ ბატონებს თითო-ოროლა დღიურ მიწას. სადავო საქმის განხილვის დროს საგლეხო-საკრებულო იწვევს ხოლმე მომჩივანს და მოპასუხეს. თუ ესენი ქართველები იყვნენ, ბევრი-ბევრი ორი-სამი კაცი ჩამოსულიყო ტფილისში საქმის გარჩევაზე დასასწრებლად, ხოლო თუ სადავო საქმე შეეხებოდა ხიზანს, განსაკუთრებით საფალავანდიშვილოსას, მთელი სოფელი მოდიოდა. მომრიგებელ შუა-კაცის მიერ გადაწყვეტილი გადასახადი ხშირად ისე მცირე იყო, რომ გაოცებული ვრჩებოდით, ამის გულისთვის კაცი როგორ უნდა ჩამოვიდეს ასის ვერსის სიშორიდან, მოსცდეს ორი სამი დღე და გასწიოს ხარჯით.

აი რეალურად რა სახე და ფორმა მიიღო იმ უწყინარმა ხიზნობამ, რომელსაც ქება-დიდება შეასხა არლოვსკიმ და რომელითაც თავად-აზნაურობა თავს იწონებდა—ვის გაუგონია ჩვენში, რომ ხიზანს ეჩივლოს მამულის პატრონზე, ან უკანასკნელს პირველზეო. ხიზანთა საქმეთა გარჩევა საკრებულოში ისეთს შთაბეჭდილებას ახდენდა მოსამართლეებზე, თი-

*) თუ არა ვცდები, განსვენებული ს. ნ. ვეზირიშვილი პირველი აგრონომი იყო ჩვენში. სპეციალური განათლება მიიღო გერმანიაში.

*) არის ასეთი სახიზნო პირობაც: ვიდრე ვუთანი არ შევიტანო ახოში, ღალა არ გადავიხადოვო და ამის გამო ხიზანი თოხით ჩიჩქნის გაწმენდილ მიწას დიდ ხანს, რომ როგორმე ღალა აიცილოს თავიდან.

თქოს ახალ ტიპის ხიზანს დიდ უსამართლობად მიაჩნდა ღალის გადასახადის სიდიდე-სიმძიმე კი არა, თვით ეს ღალა-გადასახადი. სწყინდა, რომ აწუხებდნენ და ხან ძალით, ხან მუქარით, ხან კიდევ მომრიგებელ შუა-კაცის გადაწყვეტილების ძალით ახდევინებდნენ ღალას.

ეს არც საკვირველია, რადგან სამაჩაბლოსა და საერისთავოდან გამოსულს მთიულს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ურჩობა. რუსეთის დამკვიდრების მეოთხე წელს საქართველოში ქსნის ხეობის ოსებმა ერისთვიანთ უარი შეუთვალეს—აღარ გემსახურებითო. მაშინ ერისთვიანთ დიდი ქარი უქროდათ და რუსის მხედრობის შემწეობით მორჩილებაში მოიყვანეს და დააწყნარეს. შემდეგ დაუსრულებელი დავა გამართეს შვიდის ხეობის ოსებმა მაჩაბლებთან ვიდრე ეს დავა საბოლოოდ არ გადასწყვიტა იმპერატორმა ნიკოლოზმა 1852 წ.

მთელი თხუთმეტი წელიწადი, 1876 წლიდან მოკიდებული 1891 წლამდე, ასე მწვავდებოდა და იხლართებოდა ხიზანთა საქმე, ვიდრე 1891 წ. 3 თიბათვეს, არ გამოქვეყნდა პირველი კანონი შესახებ ხიზნებისა. ქვემოდ ამ კანონს დაწვრილებით განვიხილავთ, რადგან დღემდის, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არავის განუხილავს იგი საბუთიანად და კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გაუტარებია. ვიტყვით ეხლა, სიამ-ტკბილობა ვერც ამ პირველმა კანონმა ჩამოაგდო და ვერ დაუამა წყლული ვერც მამულის პატრონს, რომელსაც მამული ნელ-ნელა ხელიდან ეცლება და ვერც ხიზანი დააშოშმინა. მთავრობამ ამ კანონის განხილვის დროს მოიწვია მამულის პატრონნი და სრული თავისუფლება მისცა გამოეთქვათ თავიანთი აზრი. მაგრამ საოცარი ერთი რამაა. ოთხჯერ შეეკითხა ადმინისტრაცია მამულის პატრონებს—როგორ გადავწყვიტოთ ხიზანთა საქმეო, ოთხჯერვე გულწრფელად და თითქოს საბუთიანად ილაპარაკეს სახიზნო მამულების პატრონებმა, მაგრამ არც ერთხელ მათი რჩევა და აზრი არ შეიწყნარა და საქმეს მუდამ ისე სწყვეტდა, როგორც თვითონ უნდოდა.

ალ. ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბავი

კახეთის რკინის გზა.

29 აპრილს დეპუტატთა და მარშალთა კრებაზედ მოწონებულ იქმნა 8 ხმის უმეტესობით 3-ს წინააღმდეგ (ერთმა არ მიიღო მონაწილეობა) უკანასკნელი ხელშეკრულობა, რომელიც დადო დაუ. გორაძე-შვილმა რუსეთ-აზიის ბანკთან. ეს გადაწყვეტილება წარედგინება საგანგებო კრებას, რომელიც მოწვეულია 12 მაისს. იმავ კრებას წარედგინება მოხსენება საფინანსო კომისიისა, თუ რაგვარად იქნება უმჯობესი რეალიზაცია 55,000 მანეთისა იმ აქციების შესაძენად, რომელნიც თავ.-აზნაურობას გაუფლებენ კახეთის რკინის გზაზედ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საგანგებო კრება ჯეროვანი სიდარბაისლით ასწონ-დასწონის ამ ფრიად პასუხსაგებ საქმეს და, ლამაზად დაგვირგვინებულს, არ შესვრის პირადი კინკლაობით; და კერძო მოსაზრებითაც, დიდს საზოგადო საქმეს არ ეცდება ხელი შეუშალოს.

კოოპერატიული სავაჭრო.

„კლდეს“ მკითხველებმა უკვე იციან რომ ს. ახაშენში დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „ნორჩი“. ამ საზოგადოების მიზანია, როგორც სალსანოვაგის, ოჯახში სახმარ საგნების და სამეურნეო მასალა-იარაღის ხელ-მისაწდომ ფასად მიწოდება წევრთათვის, ისე მათი ნაწარმოების (უმთავრესად ღვინის) რიგიან ფასებში გასაღების უზრუნველყოფა. ამ მიზნით ახაშენში უკვე აუწყიათ მოქმედება და 6 აპრილს გაუხსნიათ ვაჭრობა.

საქმეებს განაგებს 1) გამგეობა: მღ. ი. ვაჩეიშვილი (ხაზინადარი), ი. არხიპოვი, ს. მაჭავარიანი, ი. სიდამონიძე და გ. წინამძღვრიშვილი (თავმჯდომარე), 2) სარევიზიო კომისია: ი. გიჟიმყრელი, სვ. ნიკოლაშვილი და ა. ოღლიშვილი.

საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდის და ხალხიც ნდობით ეპყრობა, რასაც მოწმობს ის გარემოებაც რომ წევრთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს.

სამეურნეო სკოლა.

მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის მთავარ სამმართველომ დაამტკიცა წესდება მევენახეობისა და მელვინეობის პრაქტიკულ სკოლისა, რომელიც დაარსდა საქარის სანერგესთან. სკოლის კურსი ორ წლიანია. სკოლაში მიიღებენ ყველა წოდების პირს წლოვანებით არა ნაკლებ 15 წლისას. უპირატესობა კავკასიელთ მიეცემათ. მოსწავლეთა კონტინგენტი იქნება 20—25 კაცი. ყველა პანსიონერად იქნება. სკოლაში ასწავლიან მევენახეობას, მელვინეობას, მებაღეობას, მეხილეობას, მეაბრეშუმეობას, კალათების ქსოვას, დურგლობას და სხვა.

კურს დამთავრებულნი მოვალენი არიან იმსახურონ იქ, სადაც მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი დანიშნავს იმდენს ხანს, რამდენის ხნის განმავლობაშიც ისინი სასწავლებელში იყვნენ. მიწათ მოქმედების სამმართველო სკოლას ყოველ-წლიურად 2,300 მან. მისცემს. სხვა ხარჯები საქარის სანერგის შემოსავლით დაიფარება. („ხმა კახ.")

6. ნიკოლაძის წიგნი

რედაქციას მოუვიდა ნ. ნიკოლაძის პატარა წიგნი სახელად: „ჩემ პოლიტიკაზედ", რომელშიაც საინტერესოდ ახასიათებს თანამედროვე სოციალისტურ მიმართულებათ. ზოგი იქ გამოთქმული დებულება სახელმძღვანელოდ შეიძლება ჩაითვალოს ყველა იმისათვის, ვინც რეალურ პოლიტიკასაც იმდენს ანგარიშს უწევს, რამდენსაც საბოლოო იდეალს. რომ ბოლოს გამოთქმული პოლიტიკური მოსაზრებანი ცოტა შეუფერებელი არა ჰქონდეს **თანამედროვე** ისტორიულ განწყობილების დაკვალად — პირდაპირ პროგრამად ჩაითვლებოდა რეალური პოლიტიკისა, რომელიც მარტოოდენ ამზადებს ნიადაგს იდეალის განსახორციელებლად. როგორც ფრიად საგულისხმიეროს, შემდეგშიაც დაუბრუნდებით ჩვენ ჟურნალში.

სვ. ციციშვილის მოხსენება

26 აპრილს ქართულ კულტურის წრის წევრმა სვ. ციციშვილმა წაიკითხა მოხსენება ჩვენი ქვეყნის გეოლოგიურ სიმდიდრეზედ და მის პრაქტიკულად გამოკვლევა-შემუშავებაზედ. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა იმაზედ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გეოლოგიურ-მინერალოგიურ შესწავლას ნიადაგისას საზოგადოთ და კერძოდ ჩვენთვის, რომელთაც უთვალავი სიმდიდრე გვაქვს მიწაში დაფლული და კი ვერა ვხმაროობთ.

— ყველასათვის ცხადია, ამბობდა იგი, რომ ქართველი ერი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა თანამედროვე კაპიტალისტურ ცხოვრებას. ჩვენმა წარსულმა არ მოგვიმზადა ცხოვრების საიმედო გზა, არ მოგვცა იმდენი ცოდნა, გამოცდილება და გამბედაობა, თამამად შევდგომოდით ჩვენს მიწა-წყალზედ ვაჭრობა-მრეწველობას და წარმოებას.

„თანამედროვე ცხოვრებაში უმოვრესად ნიადაგი კულტურაა საჭირო. თუ ერს ან სახელმწიფოს აქვს იგი, მის სულიერ კულტურას ფროება ისედაც გაუადვილებს. სულიერ კულტურის წინსვლას ვერაფერი შეაჩერებს. —რისთვის არიან ევროპელნი და ამერიკელნი უმეტეს პირობებში, ვიდრე ჩვენ! რისთვის ხარობს მათი ტექნიკა, ინდუსტრია, ბიუჯეტი, მუსიკა, ფილოსოფია, ხალხის სიოსმაზე და პატრიოტული სიამაყე? — იმიტომ, რომ ევროპიელებმა თავიანთი მიწა-წყლის მინერალური სიმდიდრეს უმთავრესი ყურადღება დაუთმეს, [illegible] რომ ხალხის ბედნიერება მათ სამშობლოს ქვეყნიერებაზეა [illegible] ამოიღეს უძრავი მინერალური განძი: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ტყვია, რკინა, თუთია, გოგირდი, ქვანახშირი, ნავთი, მარგანეცი და მრავალი სხვა და ეგულებს ხალხის და ქვეყნის საკეთილდღეოდ მოიხმარეს. გაჩნდეს სამთო-მადნი წარმოებანი და ეს გადიქცა მათ ნიგთიერ კულტურის დაუშრეტელ წყაროდ სულიერი კულტურის შუდშივ საზრდოდ... ევროპამ კარგად იცის, რომ ევროპიელები ამ მხრივ ძალიან დაწინაურებულნი არიან.

ჩვენი ქართული ნიგთიერი კულტურა კიდევ ძალიან დაბლა სდგას და, თუ ერთგული სულიერი კულტურა ჯერ კიდევ ჰფეთქავს, ეს იმის წყალობით, რომ ძველმა დიდებამ ჩვენი შამელიშვილები სიყვარულით წარსულისა და საიმედო მომავლისკენ წაიქეზა.

ჩვენი ერის კულტურული შემოქმედება თითქოს უკუღმა გზით აწყობს ხოლმე, ე. ი. სულიერ კულტურას მეტი ყურადღება აქვს დათმობილი, ვიდრე ნიგთიერს, რადგან ამ უკანასკნელზედ მუშაობის უნარი თითქოს არ უჩანს...

— საქართველოს ტერიტორია დაჯილდოვებულია უმრავი მინერალური სიმდიდრით, მაგალითად: 1) ნავთი — გურიაში, თიანეთის მაზრაში, კახეთში; 2) რკინა — შორაპნის მაზრაში, გურიაში, სამაჩაბლოში; 3) ტყვია-ვერცხლი — საყოფაანთოში, საფალავანდიშვილოში, სამეგრელოში, ჩრდილოეთ სვანეთში; 4) სპილენძი — კახეთში, ყარალაანთ მამულებში, საჭაჭვაძოში, საციციანოში, გურიაჭარაში, სვანეთში და სხვაგან; 5) მარგანეცი (შავი ქვა) — ჭიათურის მიდამოებში, საციციანოში, საჭავაზოში, საამირეჯიბოში, აჭარაში და სხვაგანაც ბევრია 6) მარმარილო ქუთაისის გუბერნიაში, კახეთში და სხვაგან; 7) დიტოგრაფიული ქვა — კახეთში, დუშეთის მახლობლად, თიანეთის მაზრაში და საციციანოშიც, რაჭაში და სხვაგან; 8) მინერალური სასუქები ახალციხის მაზრაში, 9) კირნარები, გაჯი, თიხნარები, ქვიშნარები და სხვა ბევრგან გვხვდება; 10) მინერალური ფერადები — საციციანოში, საკირმაოში, სამაჩაბლოში და სხვაგან. 11) გოგირდკირი (сѣрный колчеданъ) — ძალიან ბევრია კავკასიაში; 12) მინერალური წყლები საციციანოში, ბორჯომის ხეობაში სამაჩაბლოში, საურმოთაში, კახეთში ბევრგანაა, ახტალას ცნობილი ტალახები. იმერეთში უმრავ ადგილებში ცვხვდება ეს წყლები; 13) ქვანახშირი — ტყვიბულში, თიანეთის მაზრაში, სამეგრელოში და ეველა ეს რაც ჩამოთვალეთ, გამოულეველი ფულია, საუ-

კეთესი საზრდო-საცხოვრებელი ხალხისა და ჩვენი ნივთიერი და სულიერი კულტურის გაცხოველებისა.

მართალია, კავკასია ჯერ ჯერობით ნაკლებათაა გეოლოგიურად გამოკვლეული, მაგრამ ამ მოკლე მომავალში უეჭველად ჩვენს კუთხეს დიდი ყურადღება მიექცევა და ადგილებსაც დიდი ფასი დაედება...

დღეს ჩვენ მამულების დაკარგვას ხელს უწყობენ ერთის მხრით თვით მემამულენი და მეორეს მხრით ჩვენი ბანკი, რომელიც იძულებული ხდება საჯარო ვაჭრობით სხვებს მიჰყიდოს და სხვა...

დღეიდან ჩვენს მიწა-წყლის მინერალურ სიმდიდრეს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ; უნდა ვეცადოთ დროზედ დავეპატრონოთ და ფასიც დავსდოთ, ვიდრე სხვები ჩვენც და ჩვენს მამულს დაეპატრონებიან.

მამულზედ ორნაირი უფლება გვაქვს: ზედაპირზედ და ქვევით ნიადაგზედ. თუ ზედაპირს ვყიდით, მაშინ იმდენი მოხერხება მაინც გამოვიჩინოთ, რომ უფლება ჩვენ მინერალურ განძზედ შევინარჩუნოთ და ამით ვისარგებლოთ“.

ამის შემდეგ მომხსენებელი შეეხო საკითხს, თუ პრაქტიკულად რა არის ჯერ-ჯერობით განსახორციელებელი და შეჩერდა ორ მოსაზრებაზედ: 1) დაარსდეს სადგილ-მამულო ბანკთან გეოლოგიური კომისია, რომელიც გამოიკვლევს ნამდვილ ფასს დაგირავებულ და ბანკზე დარჩენილ მიწებისას და ხელს შეუწყობს სხვა და სხვა წარმოების მოგვარებას. 2) ქართულ მუზეუმთან გაიხსნას გეოლოგიურ-მინერალოგიური კოლექცია და სამუშაო განყოფილება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: გ. ჟურულმა, ე. თაყაიშვილმა, ს. გორგაძემ და სხ. მომხსენებელმა აცნო კრებას, რომ ახლო მომავალისათვის მოამზადებს სრულს გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვასაც, თუ როგორ უნდა მოეწყოს პრაქტიკულად გეოლოგიური გამოკვლევანი ჩვენში.

— —

ამავე კულტურულ საზოგადოებას განზრახული აქვს 9 მაისს სახალხო სახლში გამართოს საღამო გრ. ორბელიანის სახელისა.

ქართლ-კახეთის თავ.-აზნაურობის საქმენი

I

დადგა მაისი და მოახლოვდა დრო კრებებისა, ის დრო, როდესაც ჩვენი საზოგადოება ნამეტან ენერგიას იჩენს სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხების გარდაწყვეტაში; ბევრს, აუარებელ სიტყვას ხარჯავს იგი მაისში, რომ უკვე თიბათვიდან ძილს მიეცეს და თვით ს ა ქ მ ე ღვთის ანაბრად დასტოვოს.

ყოველი წელიწადი უტყუარ და უფრო და უფრო მკაფიო და მკაცრ საბუთებს გვაწვდის, რომ ჩვენი ტემპერამენტი, ენერგია უნდა შეიტუქსოს, შესუსტდეს კამათისა და ლაპარაკის დროს, რომ ვნებათა ღელვა არ გვიშლიდეს დამჯდარს და დროის შესაფერს მსჯელობას.

ყოველი წელიწადი ნათლად გვიხატავს, რომ დროა ეს ენერგია გადავიტანოთ რეალურ საქმეებზედ და ფერი უცვალოთ კამათს, რომელიც მტერს ახარებს და ყველასათვის ძვირფასს საქმესა შლის.

იმართება პოლემიკა ზეპირი და წერილობითი იმისთანა საკითხებზედ, რომლის შესახებ ბევრჯელ ქართველი საზოგადოების აზრი განუყოფელია არსებითად. და იმის მაგიერ, რომ დარბაისელ მსჯელობით, რომელიმე შეთანხმებაზედ იყოს ლაპარაკი, პირადი თავმოყვარეობისათვის, ბევრჯელ წვრილმანი მოსაზრებით, გინდა თუ არა ჩემი უნდა გავიყვანოთ — დიდ საქმეებს ძირი ეთხრება და ირღვევიან. დრო კი არის, დრო, გონს მოვიდეთ ისეთ ხანაში, როცა ახდილად და ფარულად გვწიწკნიან ყველა მხარიდან.

ამ ჟამად მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ დაწესებულებას, რომელიც საუბედუროდ ერთად-ერთ საზოგადოებრივ ცენტრს შეადგენს, ცოტად თუ ბევრად ცოცხალ ცენტრს, ვინაიდან იქა სწყდება უმეტესად ჩვენ სხვა დაწესებულებათა ბედ იღბალი. ეს გახლავთ დეპუტატთა საკრებულო და თავ-აზნაურობის მორიგი კრებები. სამწუხაროა, მაგრამ საუბედუროდ სრული სიმართლეა, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვყავს არც ეკლესია, საცა გაისმოდეს მძლავრი კულტურულ-სიტყვიერი მცნებანი; არც ბურჟუაზია, რომელიც ჰქმნიდეს მატერიალურ ღირებულებას და ასაზრდოვებდეს საზოგადოებას და სწვრთნიდეს, ავარჯიშებდეს მოქმედებაში ჩვენს ნიათ გამოლეულ ინტელიგენციას, გზას აძლევდეს იმ საკმაო რიცხვს განათლებული ხალხისას, რომელიც იძულებული ხდება რჩებოდეს რუსეთში და გადაგვარების გზას დაადგეს.

არა გვყავნან არც კერძო, არც რაიმე ორგანიზაციებად შეკრებილი მიწად-მოქმედნი, რომელნიც ჩვენს ისტორიულს და ბუნებრივს დარგს — სასოფლო-მეურნეობას ანვითარებდნენ, ინტენსიურად ამუშავებდნენ მიწას, რომ საკვები ჰქონდეს ერსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ცხოვრების მაჯის ცემაც გაცხოველდეს. ჩვენში ჯერ-ჯეროობით არც მძლავრი კოოპერატიული მოძრაობაა, რომელიც შეჰქმნიდა ნამდვილს დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომელთ მკვიდრი ნიადაგი ექნებოდათ ეკონომიურ კეთილდღეობაში და ამით გაჰფანტავდნენ ჩვენ მეოცნებე-მოლაყბე დემოკრატიას, რომელსაც ფესვები ცხოვრების მზეზე უხმება.

ჩვენ არა გვყავს არც ერთი საგლეხო ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებდეს ერთმანეთში ჩვენი ერის უმთავრესს ელემენტს; არც ერთი ნამდვილი მუშათა ორგანიზაცია, ვინაიდან ამას ხელს არ უწყობს ჩვენი წარმოების ძალთა უსუსურობა.

ჩვენ ვერ ველირსენით ეროობასაც (და ვინ იცის ან კი ველირსებით?), რომელიც კარგად თუ ავად გაუწევდა სამსახურს ჩვენი მხარის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას.

აი ასე იყო აქამდის მიმკვდარებული ჩვენი ცხოვრება და აქა-იქ თუ დაინახავდით ან პატარ-პატარა საზოგადოებას, ან კერძო პირს, რომელიც სცდილობდა ცხოვრების ორგანიზაციას, მის ძალთა გამოღვიძებას და კოორდინაციას, შეფარდებას ყველა მოქმედებისას დედააზრთან,—უმთავრეს იდეასთან—ეროვნულ მთლიანობის და ინდივიდუალობის დაცვასთან, ჩვენი სამშობლოს პროგრესთან.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ბევრი ყალბი და შეუფერებელი გრძნობა და აზრი გაავრცელა ჩვენს ხალხში და საზოგადოებაში, მაგრამ ამ მოძრაობამ გააღვიძა სალი აზროვნების უნარიც, რომელიც თანდათან მაგრად იკიდებს ფეხს როგორც ხალხში, ისე ინტელიგენციაში და თავ.-აზნაურობაშიაც კი, რომელიც აღარ „ეხვეწება მთავრობას наплечо-პო გვასწავლეო“, არამედ რეასიმილიაციის ხანას განიცდის. როცა გაქცეულნი ბრუნდებიან ეს პირველი მაჩვენებელია შეგნებისა და რეალურ პირობათა შეცვლისა. ამოძრავდეს სიცოცხლის ძალა ჩვენში და უკიდურესად გადაგვარებულნიც იამაყებენ ძველი კერის მონახვით. ქართველი, ქართული სამასხარაო და სამარცხვინო კი აღარ იქნება, ან შოვინისტური საფრთხობელა, არამედ სასიქადულო სახელწოდება ერის ყველა შვილისათვის.

ასეთ ანორმალურ პირობებშია ჩაყენებული ჩვენი ცხოვრება და მით უმეტესი სიფრთხილე და შეგნება გვმართებს, რომ უკვე არსებულ დაწესებულებათაგან გამოვიღოთ უმეტესი სარგებლობა და ხელი შეუწყოთ სხვა უფრო სასიცოცხლო ორგანიზაციების შექმნას.

ის დრო ჩაბარდა ისტორიას, როცა ჩვენი თავ.-აზნაურობა ხმალ-ხანჯალით; ეძღოდა წინ ხალხს მტერთან საბრძოლველად, წავიდა ის დროც, როცა უსაქმოდ დარჩენილნი დიდებულნი-თავადნი და აზნაურნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ ვინ უფრო მალე და სავსებით გაჰფლანგავს მამულს, ვინ უფრო მდიდრულად იწვება მხარ-თეძოზე და ჰყლაპავს სხვის ნაოფლარს. დღეს სიმდიდრეც დაიღლია, მემამულეს ბევრგან გამხმარი პურიც ენატრება და ჩვენი წარჩინებული და განათლებული ხალხის ზეგავლენით აღიზარდა ინტელიგენცია, შეგნებული ელემენტი, რომელსაც ღრმად აფიქრებს სამშობლოს ბედი.

ამ დემოკრატიულ ინტელიგენციის ზეგავლენით, არსებული თავად-აზნაურული დაწესებულება (დეპუტატთა საკრებულო და თავ.-აზნ. კრებანი) თანდათან იღებს საერობო სახეს. მისი ყველა თანხა ხმარდება საერთო ეროვნულ და არა მხოლოდ ვიწრო წოდებრივ საქმეებს, მაგრამ ახლანდელი მდგომარეობა მეტად ანორმალურად უნდა ჩაითვალოს, რაკი ყოველ საქმეს ქველმოქმედების სახე აქვს, რაც თავისი შემთხვევითი ხასიათით და ცვალებადობით გამრყვნელ ფსიხოლოგიასა ჰქმნის, როგორც თვით დაწესებულებაში, ისე იმ საზოგადოებაში, რომელსაც დახმარებას უწევს. არ შეიძლება რომელიმე დაწესებულება მკვიდრ ნიადაგზე იდგეს ან როდისმე ფეხი საკუთრად აიდგას, თუ მისი ბედი დამოკიდებულია მჭიდროდ მარტო დეპუტატთა საკრებულოს შემთხვევით შემადგენელობისაგან, ან თუნდა ჩვეულებრივ კრების შემთხვევითი უმეტესობისაგან, ასეთი წესი ხშირად არყევს ბევრს უკვე დაწყებულ საქმეს და უსარგებლოდ ჰფანტავს იმ თანხებს, რომლის ყოველი გროში, ერიდან ამოღებული, ერსვე უნდა დაუბრუნდეს.

დღეს, მაგალითად, არსებობს სათავად-აზნაურო გიმნაზია, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, საადგილ-მამულო კომისია და სხ., რომელნიც იკვებებიან განსაკუთრებით თავ.-აზნაურობის ხარჯით, მაგრამ არც ერთ მათგანს დამოუკიდებელი ხასიათი არა აქვს და ვერც ექნება, სანამ არ შეიცვლება ის მოძველებული წესები, რომლებიც ერთ დროს იქნება კარგნიც იყვნენ, მაგრამ დღევანდელ პირობათ არ ეგუებიან. ცხოვრება გართულდა, იგი მოითხოვს შესწავლას, დაკვირვებას, ბევრჯელ სტატისტიკურ ცნობებსაც, რომ სათანადო ანგარიში გაეწიოს და ისე წარიმართოს, როგორც შეეფერება სინამდვილეს. დეპუტატთა საკ-

რებულოს კი ამ მხრივ მძიმე უღელი ეტვირთება და არც საკმარისი დრო რჩება, არც მასალა აქვს, რომლითაც იხელმძღვანელოს არჩევანში. ეხლა დანაშაულად უნდა ჩაითვალოს საქმის ისეთი წარმოება, როგორც უწინ იყო, ნათესაობისა და კეთილგანწყობილების მიხედვით. დღეს მხოლოდ საქმის მცოდნე და კეთილსინიდისიერი პირები უნდა უდგნენ სათავეში ყოველს დაწესებულობას, რადგან მათს მოქმედებაზე ფრიად პასუხსაგები მომავალია დამოკიდებული.

და ეს პასუხის მგებლობა აწევს ყველაზედ უფრო დეპ. საკრებულოს, რომელიც არა მარტო ანაწილებს და მიმართულებას აძლევს თავის თანხებს, არამედ თვით იმ დაწესებულებასაც უდგას სათავეში, რომელიც უმთავრესად ჰქმნის ამ თანხებს სადგილ-მამულო ბანკს.

მოუხერხებელია ის მდგომარეობა, რომ ჩვენს საფინანსო დაწესებულებაში არ არის თითქმის არც ერთი ფინანსისტი, არც ერთი იურისტი და, როგორც ოხუნჯობენ, უფრო დიდ საბოქაულოს წარმოადგენს. საბანკო საქმე დღითი-დღე რთულდება საწარმოვო თანხა დღითი დღე იზრდება, დღეს არა, ხვალ შეიძლება კონკურენტი გაუჩნდეს ჩვენ ბანკს და მისი მოქმედება კი ისევ პრიმიტიულ დონეზედა სდგას და შემთხვევითი ელემენტებით ივსება, ზევრჯელ ქველმოქმედურ ხასიათსაც კი იღებს.

თავ.-აზნ. მოვალეა თანდათან შეავსოს, გაასწოროს ეს ნაკლი და ახალი, ჯანსაღი და განათლებული მცოდნე ელემენტი შეიყვანოს შიგა. თავ.-აზნაურობას, როგორც კრებულს, აქვს ამის სახსარიც და მოვალეც არის შეუფეროს თანამედროვე მოთხოვნილებათ ბანკის გამგენი.

რაც შეეხება სკოლას და სხვა დაწესებულებათ, თავ.-აზნ. მოვალეა ასწონ-დასწონოს, გამოიკვლიოს ყოველ მხრივ ჩვენი საჭიროებანი და ტრადიციით კი არ ხელმძღვანელობდეს, არამედ ჯანსაღი მსჯელობით და დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნილება არა მარტო შეძლების დაგვარად არამედ აუცილებლობის დაგვარადაც.

იმისათვის კი დეპუტატთა საკრებულომ უნდა განითავისუფლოს თავი იმისთანა საქმეებისაგან, რომელნიც აძნელებენ საერთო გეგმის შემუშავებას, ანუ უკეთ, აღიაროს პრინციპი მუშაობის განაწილებისა. მთავარი საკითხები უნდა შესწავლილ და გამოკვლეულ იყვნენ შესაფერ დაწესებულებაში, თუ კომისიებში და დეპუტატთა საკრებულო უნდა ადასტურებდეს ან უარჰყოფდეს მათ წამოყენებულ მოსაზრებათა მიხედვით.

ასეთი წესი გააადვილებს მუშაობას დეპუტატათა საკრებულოისა, უფრო სარგებლიანად გახდის მას და მეტს ნდობას მოიპოვებს საზოგადოებაში, რადგან კომისიებში უნდა მოიყარონ თავი შესაფერმა მცოდნე, კომპეტენტოვანმა მუშაკებმა.

როგორც ვიცით, ახლანდელი მარშალი მოსურნეა, რაც შეიძლება მეტად პროდუქტიული იყოს თავ.-აზნაურობის მოქმედება და მით უფრო რთულდება მისი როლი, რომ ისეთს დროს ხვდა წილად წინამძღოლობა, როდესაც სწყდება ფრიად მნიშვნელოვანი და შედეგებით სახიფათო საკითხები: ავტოკეფალიისა, კახეთის რკინის გზისა, ხიზნობისა, პოლიტეხნიკუმისა და სხ.

მით უმეტეს სჭირდება დახმარება ისეთის პირებისა, რომელნიც გამოკვლეულ და იმდენად დამზადებულ მასალას მიაწვდიან ხოლმე დროზედ, რომ ადვილი იყოს მისთვის ორიენტიროვკა.

რ. გ.

ამბავი გაქსუებულ ადამიანისა და სამარიტელ გოგონასი

II

როს მანკლინი გაოცებული იყო. ჯერ არ ენახა ადამიანის ხასიათის ამგვარი თვისებები, მისთვის მხოლოდ ეჭვიანობა, მძულვარება და მტრობა იყო გასაგები; ამას შესჩვეოდა, ამას შესთვისებოდა, არავინ თავის დღეში არ მოჰქცევია როსს ისე, როგორც ნდობის ღირსს ადამიანს. სადა კი გაუვლია, ყველგან შიშით დაუთმიათ მისთვის გზა.

გოგონამ ტაში შემოჰკრა და შეაწყვეტინა როსს აზრი.

— მე ვიცი, რა უფრო გიყვარს ყველაზე მეტად ქვეყანაზე! ჰაერი! აი რატომ გძინავთ ღია ადგილას, ბალახებში. მე და დედასაც გვიყვარს სუფთა ჰაერი და აივანზე გვძინავს ხოლმე. მხოლოდ ეგ ვერ არის კარგი, რომ კბილებს ძალიან აკრაჭუნებთ. აი რა ჰქენით, დაწოლის წინად რამდენჯერმე გაიმეორეთ თქვენთვის: მე კბილები არ უნდა ვაკრაჭუნოთქო! და ნელ-ნელა გადაეჩვევით. მე წარბების შეჭმუხვნა ვიცოდი და დედას არ მოსწონდა. მიბრძანა, გადაეჩვიე ეგ ჩვეულებაო. ასე მითხრა რომ წარბებს იჭმუხნი, არამც თუ მარტო შუბლზე, ტვინშიაც გიკეთდება ნაოჭები და ეს კი ძლიერ ცუდიაო. დედა ყოველთვის მისწორებდა წარბებს და მე-

უბნებოდა, ერდა მუდამ სწორედ იფიქრა, რომ კარედან მუბლი გქონდეს გიშლილი და შიგნიდან ტვინიო. მეც დავუჯერე და წარბებს ალარ ვიჯმუხნი.

იმდენს ლაპარაკობდა და ისე ჩქარა ამბობდა სიტყვებს, რომ ძლივსლა ითქვ.ოდა სულისა. ახლა ლაპარაკის ჯერი რასისა იყო. წეურვილი ჭკლავდა, მაგრამ არ უნდოდა ლაპარაკისათვის თავი დაუნებებინა და რამოდენიმე ხნის ტანჯვა ირჩია. კაიდოკა გამშრალი ტუჩები და როგორც იყო ჭკითხა: რა გქვიანთ თქვენაო?

— ჯენი!—უპასუხა გოგონამ და იგივე ჭკითხა თვალებით რასსა.

— რას შანკლინი!—მოიხსენია ბირველად თავის სიტყვაში ხრულად თავის გვარი კატორღელმა.

— მგონი, თქვენ ბევრი გიმოგზაურიათ?

— ჰო, საკმაოდ ბევრი, მაგრამ რამდენიც მე მინდოდა იმდენი მაინც არ.

— დედა მეუბნება, მოგზაურობა ძვირი ჯდებაო მაწყანწალობა უფრო იაფია. თქვენ თუ ამიტომ მაწყანწალაობთ ალბად?

რასმა თავი დაუქნია და ტუჩები კაიდოკა.

— ეგ ძალიან ცუდია, როცა წანწალი გიხდებათ და სამუშაოს უძებთ. მაგრამ ეხლა ჩვენ მხარეში ადვილად იშოვის ადამიანი სამუშაოს. თქვენ მუშაობთ სადმე?

— იცით რა, მე ძალიან მინდა, რომ თქვენისათანა გოგონა მყავდეს,—უპასუხა რასმა უფრო თავის აზრებს, ვიდრე ბავშვსა და მის ხმას სეგდიანი კილო დაეტეო.

— რატომ ცოდი არ შეირთეთ.

— არავინ გამოუყო.

— უიუოდ გამოგეკეთოლესენ რომ... და ჯენმა ისეთნაირად გადაავლო თვალი რასის კონგებს და წეწეიან ბირასხეს, რომ ადამიანი მაშინვე მიხვეებოდა შეგლაოვერს.

— რომ რა? წამოიეეერა კატორღელმა ტლანქის ხმითა.—რომ უფრო სუფთა ვეოფ ლიეგ? რომ კარგად მცმოდა? რომ საერთოდ რიგიანი გარეგნობა მქონოდა და ბლომა ფული მეყო ერთი სიტყვით, რომ იმად არა ყეოფილიეეგ, რაც ეხლა ვარ, არა? საძაგელი კაცი ვარ, მაწანწალა. მე თავის დღეში მუშაობა არ მომინდომებია,—აი რად მოხდა ეგეოფერი ასე!

— რა, გინდათ დამაჯეროთ, რომ თუ მოგეწადინებინათ კიდეც, მაინც არ გეეოლებოდათ ჩეენიანირი გოგონა?—ეიხრა საეგედურის კილოთი ჯენმა

ეკანასკნელ სიტეეებზე რასს თითქმის წაერთვა ლაპარაკის უნარი.

გოგონამაც იგრძნო, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩაეუნა კაცი და გაჩუმდა.

მამაბრიგეს გრძნობებმა აეკვნესეს რასს გული; ლარდმა და ვარამმა შეიპყრო მთელი მისი არსება, რაკი შეიგნო თავის გაუსწორებელი ხასიათი; ჩამოვარდნილმა სიჩუმემ ალდეგვა, ვერ მოითმინა და თავისი ერთიერი ხელი ბავშვის კაბის კალთას დაადო.

ბუჩქებში მწეერები ერთი ერთმანეთს ეძახდნენ. მინდვრებიდან სამკალი მარქნის ბასრის ხმაურობა მოდიოდა.

მირტოობის მწარე გრძნობამ მოიცვა რასი მანკლინი.

— საძაგელი ვარ,—წაიჩურჩულა თავი და ხრიოკწანის ხმით.

გოგონამ თვალები აეღვარა, მაგრამ არაფერი კი უპასუხა რა. სიჩუმე ეოკედ წამს უფრო და უფრო აუტანელი და მქენჯნავი ხდებოდა. რასი მოუთმენლად ტუჩებს იდოკავდა და თან ამოდ ეძებდა სალაპარაკო საგანს. რომ არ დაეფრთხო ბავშვი, ბოლოს როგორც იყო სთქვა:

— ეს ფერიების ქვეყანაა; თქვენ ნეერაა ხარო. მდვიძავს თუ მძინავს? არ ვიცი.. ჩვენ არ ყოფილა, რა ვუთხრათ ერომანეთს; თქვენ ფერია ხართ და მარტო კარგი იცით, მე კი სულ სხვა ადამიანი ვარ.

ამ სიტეეების შემდეგ ქვიშაზე გადმოგდებულ ოეეზიეთ იგრძრო თავი რასმა.

— მე ცოდვიანი ქვეეანის შვილი ვარ.

— თქვენ უნდა მითხრათ იქაურობის ამბავი,—წამოიეეერა ჯენმა,—ესათეოდ უნდა მითხრათ!

რასმა შეხედა ბავშვსა; რადაცნაირმა სუბეექმა სიხარულის გრძნობამ აიტაცა და სთქვა:

— არა, არა. ცოდვიანი ქვეეანის შვილი არაფერს გიამბობთ ცოდვიან ქვეეანაზე. ის მარტო ამას გადმოგცემთ, რაც კარგი არის ქვეეანაზე ადამიანის ცხოვრებაში. ის ამას გიამბობთ, თუ როგორ ეეეარდა ცხენები, როცა ჯერ ბალდი იყო; ის გეტეეით ამბავს ამ ბირველ ცხენზე, რომელზედაც ბირველად შეჯდა,—ბირველ ცხენზე, რომელიც დაიმორჩილა. ამ ადამიანს ცხენები ეფერა უეეარდა ხალხზე—ცხენები ეკეთესები არიან. გარწმუნებთ, ბატარა ფერია, რომ ქვეეანაზე ისეთი კარგი არა არისრა, როგორც მოქანცულ ცხენთა სახლში დაბრუნება დიდი, დიდიხნის ჯენების შემდეგ. რომ იცოდეთ რა კარგია, როცა ცხენი არ გეურჩებათ და გიგონებთ ეეეერეს. მე კოვბოი ყიეავი წინად.

გოგონამ ხელები გაიქნია, თვალები ავსინანეს.

— კოვბოი ტეხასიდან! ოჰ, დედავ! დიდი, დიდიხანია მინდოდა მაგეთი ადამიანის შეხვედრა! მამა ამბობს ეეეერა კოვბოი ფეხებმოზნექილიაო. თქვენც გაქვთ მოზნექილი ფეხები?

— ალბად აგრეა. ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, როცა ცხენზე შემსვეს. ქოროფა ძვლები რბილია და ადვილად იზნიქება. სამი წლისა ვიყავი, როცა ბირველად ცხენზე

შემსვეს. ცხენიც სამი წლისა იყო, და უნდა გამოგიტ-ეოდეთ, რომ ადვილი არ იყო ჩემთვის მისი დამორჩილება.

მთელი რახეკარი საათი დავარაკობდა რიხ შანგლინი ცხენებზე და ამ ხნის განძავლობაში ერთ წუთსაც არ მოუმორებია ხელი ბავშვის კბილის კალთიდან.

დრუბლებში ჩასვენებული მზე ტატნობისაკენ მიიწევდა. საღამო ახლოვდებოდა. შწურებმა უმატეს ჭეჭეს. ცარიელი ურმები რახარუხით ბრუნდებოდნენ სახლში.

გაისმა ქალის ხმა.

— ჯენ, ჯენ, სადა ხარ?

ბავშვმა ხმა მისცა. რიხ შანგლინმა დაინახა სამინი ტანისამოსში გამოწყობილი ქალი, რომელიც სახლიდან გამოვიდა. რისის ადტაცებულ თვალებს უცბად მოეჩვენა, რომ ეს ქალი სხვა ადამიანიათ დედამიწაზე კი არ დადიოდა, ჰაერში დასტურავდა.

— რ.ს აგეთებდი ამდენ ხანს? — შეეკითხა ქალი ბავშვსა, როცა მიუახლოვდა.

— ჩვენ, დედა, ვლაპარაკობდით! ძალიან კარგა გავატარეთ დრო.

რიხ შანგლინი წამოდგა ზეზე და ულაზათოდ გადად-გადმოდგა ფეხები.

— აი ქალი, რომელსაც არაფრისა ეშინია, — გაურბინა თავში აზრმა რიხსა.

მართლაც და ქალის თვალების შიშის ნასახიც კი ვერ შეამჩნია.

— გამარჯობ.თ, — უთხრა ნაზის ხმით ქალმა უბრალოდ.

— გაგიმარჯოთ, — უპასუხა რიხმა და გაწითლდა — თავის ხრინწიანი ხმისა შერცხვა.

— თქვენ როგორლ გაატარეთ დრო? — დიმილით შეეკითხა ქალი.

— ძალიან კარგა! მე თქვენს ქალს ცხენებზე ვეამბობდი.

უცბად რიხმა მოინდომე, რომ საიდანმე გაჩენილიყო რაიმე საშინელი საფრთხე და შეეწირა თავის სიცოცხლე ამ ორი ქალისათვის.

— წავიდეთ, ჩემო ძვირფასო, — უთხრა დედამ ბავშვსა, — ბინდდება. — მერე გადახედა რიხ შანგლინს და ჰკითხა: — იქნება მშიერი ხართ?

— გმადლობთ, არა ვარ მშიერი.

— აბა, ჯენ მაშ გამოეთხოვე, — სთქვა დედამ.

— ნახვამდის! — გაუწოდა ხელი გოგონამ და ეშმაკურად აელვარა თვალები, ნახვამდის ცოდვიან ქვეყნის ბატონო ადამიანო.

— ნახვამდის, ბაწია ფერიავ, — წაიბურბუღა რიხმა, — მეც უნდა გზის გაუდგე.

მაგრამ ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან, სანამ მშვენიერი მოჩვენება ჭიშკარს არ ამოეფარა. გაქრა მოჩვენება და რიხმაც სრული სიცარიელე იგრძნო გარშემო. გაუბედავად მიიხ-მოიხედა, აუჩქარებლივ გადაეფიდა დობეზე, გაიარა ხიდი და გაჭეფა გზასა მსუბუქ მსუბუქად. თითქოს სიზმარშია, ისე მიდიოდა, ვერ ამჩნევდა, რომ ბრძოლობდა, გზას ვერა ხედავდა.

როცა ერთი მილი მანძილი გაიარა, მაშინდა მოვიდა გონს და გაჩერდა შუა გზაზე. დაინახა ღუქანი, გაიღოგა ტუჩები, მიუახლოვდა და დადგა. ჩაიდო ხელი ჯიბეში და შიგ ერთად-ერთი ათ ცენტიანი ფული დახვდა.

— ეშმაკსაც წაუღია, — წაიბურბუღა თავისთვის, მოტრიალდა და ბორძიკით და ჩანჩალით ისევ გზას გაუდგა. ერთ მდიდარ ფერმას მიუახლოვდა. რამდენად მდიდარი იყო ფერმა, ამას სახლის სიდიდეზე, შენობის რიცხვიდან და კალოებიდან გაიგებდით. კარების ზღურბლზე ფილეტში გამოწყობილი ხანში შესული ადამიანი იდგა ცოცხალი და ჭკვიანი გამომეტყველების თვალები ჰქონდა; ხელში სიგარა ეჭირა.

— მუშა გინდათ? — იკითხა რიხ შანგლინმა.

— მინდა.

— რამდენს აძლევთ?

— სასმელ-საჭმელსა და თითო დოლარს დღეში.

რიხ შანგლინი, ეტეობოდა, თავის თავს ებრძოდა:

— ეველაფერი შემიძლიან გავაკეთო, რაც გინებავთ, მაგრამ ცხენებთან ყოფნას ვერ ჩვევდი. კარგა ვიცინობ ცხენებს, თითქმის ცხენზე ვარ გაჩენილი.

შუახნის კაცმა უნდობლად გადავლო თვალი და უთხრა.

— როგორლაც კოჭებში არ გეტეობათ.

— ვიცი, რომ კოჭებში არ მეტეობა, მაგრამ მოგეცით სამუშაო და ნახავთ.

ჩაფიქრებულმა მეფერმემ შეხედა ჩასასვლელად გამზადებულს მზეს, რომელიც ღრუბლებში მიისწრაფოდა.

— მე მგონი, მალე დამჭირდეს მეკინიბე და არც იმაზე ვარ უარს, რამოდენიმე ფული აგაღებინოთ. წადით თავლაში.

— კარგი, ვეცდები. წეურვილი მკლავს; სად შეიძლება წყალი დაგლიო? — წარმოსთქვა გაჭირებით და ხრინწიანის ხმით რიხ შანგლინმა.

ირ. სონღულაშვილი.

თეატრი და სელოვნება

ფილარმონიულ საზოგადოების კონცერტი

ამბობენ ზოგნი, რომ ფილარმონიულ საზოგადოების კონცერტი საზეიმო დღესასწაული იყო ქართულ მუსიკისა, მაგრამ იმისდა მიუხე-

დავად რომ ბევრი საუცხოვო და ნიჭიერად დაწერილი რამ მოვისმინეთ, ჩვენზე ასეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. თავდაპირველად გაგვაკვირვა იმ უცნაურმა დომხალმა, რომლისთვისაც ავტორს—ივანოვს „ივერია“ დაურქმევია. ეს, სამი ნაწილისაგან შემდგარი „ივერია“, თითქო განგებ იყო ანტიმუსიკალურად შესრულებული; ნამეტნავად მეორე ნახევარი—ლეკური, რომლის ბუნებრივადაც ჩქარი ტემპი აჩქარებული იყო კინემატოგრაფიული სისწრაფით და ველურ აფრიკას უფრო მოაგონებდა ადამიანს თავისი ალრევით დოლ-დაირასი ორკესტრთან; ვიდრე კულტურულ ხალხს, ეს იყო დაქვეითება არსებულისა და არა გაუმჯობესება.

მაგრამ დედა-ბოძს კონცერტისას შეადგენდა ბ-ნ ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედება. ძნელია, ერთი მოქმედებიდან, და ისიც მარტო პირველად და გამოუცდელი არტისტებისაგან წარმოდგენილით—რაიმე მთლიანი შთაბეჭდილება გამოიტანოს ადამიანმა, მაგრამ მაინც უნდა სიხარულით აღვნიშნოთ, რომ ეს ფრიად ნიჭიერი ცდაა ქართული ოპერის შექმნაში.

მესანე აქტი უალრესი განვითარებაა დრამატიული სიუჟეტისა და მუსიკისაც—ამით თუ აიხსნება, რომ მთელი მოქმედება ნამეტან მაღალ ტონზეა დაწერილი და სმენას ჰლალავს.

ჩვენ მოვისმინეთ ოპერის სხვა და სხვა პატარა ადგილებიც: ლამაზი კვარტეტი და საზეიმო ჰიმნი აბიოს მეფეს—და საერთო შთაბეჭდილება ყველა ნაკვთისა — ერთფეროვანებაა. ნამეტანი გრძელი განმეორებანი ერთი და იგივე მოტივებისა; თუმცა თვით მოტივები მშვენიერნი არიან. ესეთი შერჩევა ფერებისა ჰქმნის ჰარმონიის მთლიანობას, ჰბადებს გრძნობათა შეხამებას (н строеніе), მაგრამ აკლებს ინდივიდუალურ ელფერს, მელოდიების სილამაზეს —საერთო ფონს.

საზოგადოთ კი კონცერტს, როგორც ფილარმონიულ საზოგადოების მთელ მოღვაწეობას, ერთი შესამჩნევი ნაკლი აქვს: იგი გაევროპიელებუ ლია. ხოროც, არიებიც, ორკესტრის ინსტრუმენტოვაკაც უნდა წარმოადგენდეს ბ უ ნ ე ბ რ ი ვ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს ქ ა რ თ უ ლ ი მ უ ს ი კ ა ლ უ რ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა ს, თუ არა სურს დაჰკარგოს თავისი ინდივიდუალური სილამაზე და გაითქვიფოს რუსეთ-ევროპის მუსიკაში. ვგონებთ, ეს ნაკლი ადვილად შესასწორებელია ისეთ ნიჭიერ კომპოზიტორისათვის, როგორათაც თავი იჩინა წარსულ კონცერტზედ ბ-ნმა ფალიაშვილმა.

გულწრფელად ვუსურვებთ სრულს გამარჯვებას ახალ ასპარეზზედ.

ბალეტი ქართულ თეატრში

ქართულ თეატრში 29 აპრილს გაიმართა ბენეფისი (?) ბ-ნ ოვერლოსი რომელიც მთელი საღამოს განმავლობაში სცდილობდა დაემტკიცებინა, თუ რამდენად უნიჭო და... გაბედულია, მკვახედ რომ არა ვსთქვათ.ჩვენ გვიკვირს, დრამატიულმა საზოგადოებამ ნება როგორ დართო ასეთ ცირკის მაგვარ მასხარაობას—დარქმეოდა „ბენეფისი“, და არ აიცდინა საყვედური საზოგადოებისა იმით, რომ ოვერლოს, როგორც მხოლოდ კერძო პირს არ აქირავა თეატრი.

ჯერ უნდა აღინიშნოს ყოველი უსარგებლობა ასეთის გრაცია-პლასტიკისა ქართულ დრამისათვის, საცა, ღვთის მადლით, ჯერ-ჯეროობით მსუბუქ ოპერეტტას არ დაუმკვიდრებია. რა დამოკიდებულება აქვს Pierrot—მასხარების მალაყებს და ულაზათო, უგრაციო ხტომას ქართულ დრამასთან? ან ახალი რა შეაქვს, ან გაუმჯობესებას რას ახდენს იმისთანა ცირკისებური, უნიჭოდ შედგენილი პანტომიმა, რომელსაც, „Драма въ грузинской дер внѣ“ ჰქვიან. თუ ერთი ქულაჯა და ლეკური ყველა სისულელეს გააქართულებდა —ამას ვერ დავიჯერებდი ოვერლოს ბენეფისამდე. მართალია,ქ-ნი ქ. მგ-ლობლიშვილი ნამეტანად კოხტა, მოხდენილი და კეკლუცი გრაციით სავსე იყო „ვარდის“ როლში და რითმიულ ცეკვაშიაც, მაგრამ ნუთუ დრამატიული კურსები იმიტომ დააარსეს, რომ ჩვენი სცენისათვის ბალეტი გამოეჩიკათ? მე აღარ შევჩერდები იმაზედ, თუ რამდენად შეჰფერის სერიოზულ დრამატიულ საზოგადოებას აყოლა ოპერეტულ მსუბუქ ჟანრისა და „ტანთსაცმელების“ გაუქმებისა, აღარ ვიტყვი, თუ სხვა „ნომრები“ ამ საღამოსი რა ღირსებისანი იყვნენ, მარტო გვიკვირს??!!

პროგრამის ბოლოში სწერია: „ყველა სცენები და ცეკვანი საკუთარი თხზულებაა ბენეფიციანტისა“. ეს შეიძლება არ დეემატებინა ბ-ნს ოვერლოს, რადგან ასეთ უნიჭო ლაზღანდარაობაში სადმე „ბალაგანში„ თუ შეეცილებოდნენ და არა ქართულ თეატრში.

კიდევ კარგი, რომ ხალხს... თუმცა კარგა ბლომად იყო და ტაშსაც უკრავდა, ქართველ საზოგადოებისა ცოტა რამ ეცხო.

რაე

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

!!40 ДНЕЙ БЕЗПЛАТНО!!

Если вы въ теченіе 40 дней не выучитесь свободно говорить, читать и писать по нѣмецки, французски, англійски и латински по нашимъ самоучителямъ, составленнымъ по новѣйшему методу (всѣ другіе реклама),

деньги возвращаемъ обратно.

Цѣна самоучит. одного языка съ перес. наложн. платеж. 1 руб. 10 коп. 2-хъ 1 р. 90 к., 3-хъ 2 р. 80 коп., 4-хъ 3 р. 65 к. Заказы исполняетъ единств. складъ для всей Россіи **С.-Петербургъ.** Петерб. стор. Большой пр., 56-1 **Я. К. Петерсъ.**

1-е ЗАОЧНЫЕ КУЛИНАРНЫЕ КУРСЫ

Полный курсъ лекцій для самообученіе „сьоромный и постный столъ", около 100 рецептовъ кушаній, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ блюдъ пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта. *Цѣна* съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНІЕ, какъ правильно вести домашнее хозяйство и приготовлять экономическіе вкусные и и питательные обѣды съ приложеніемъ разрѣзки мяса и украшеніемъ стола и блюдъ, около 100 стр. съ рисунками. *Цѣна* 1 р. 20 к. обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-петерб. Петр. стор. Большой пр. № 56-1

ПОЛЬЗУЙТЕСЬ СЛУЧАЕМЪ

Поступили въ продажу по удешевленной цѣнѣ 3 большихъ тома около 800 страницъ. убористаго текста.

ПОСМЕРТНЫЯ
художественныя произведенія

геніальнаго писателя

Л. Н. ТОЛСТОГО

Высылаемъ съ пересылкой наложеннымъ платежомъ вмѣсто 3 р. 50 к. за 2 р. 50 к. или по полученіи всей стоимости, можно марками, заказы выполняетъ единственный складъ для всей Россіи.

СПБ., Пет. ст., Большой пр., № 56-1
Я. К. ПЕТЕРСЪ.

Въ настоящій моментъ кровавыхъ событій *въ Турціи* и на *Балканахъ* нѣтъ болѣе интересной и занимательной книги для чтенія, полной невѣроятныхъ любовныхъ и политическихъ интригъ и разоблаченій жизни мусульманскаго гарема, сталкивающагося съ цивилизаціей Запада, какъ сенсаціоннѣйшій романъ

«ТУРЕЦКІЙ СУЛТАНЪ»
— ИЛИ —
„Тайны Костантинопольскаго Двора"

популярнѣйшаго въ Европѣ романиста-историка

ГЕОРГА БОРНА.

Свыше 1.000 страницъ убористой печати большого формата на роскошной бумагѣ.

Въ виду ограниченнаго количества остающихся экземпляровъ этой занимательнѣйшей книги, поспѣшить съ заказами на книгу, которая высылается НЕМЕДЛЕННО по полученіи 3 руб. (съ упаковк. и пересылкою) или налож. платежомъ при задаткѣ въ 1 руб. (можно почтов. и гербов. марками), безъ чего заказы не выполняются.

Всю корреспонденцію: денежную, заказную и простую надлежитъ адресовать:

С. ПЕТЕРБУРГЪ
Петерб. Стор., Большой просп. **№ 56-1**
Я. К. ПЕТЕРСУ.

По удешевленной цѣнѣ!

ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ

Вмѣсто 10 руб. за 4 руб. 50 коп.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплетѣ 7 р. 50 к.

15 Томовъ больш. формата Полнаго собранія Сочиненій.

Гюи де-Мопассана

Имя Гюи де-Мопассана гремитъ славою не только среди соотечественниковъ, но и среди всего міра. Достаточно указать на отзывы *И. С. Тургенева и Льва Толстого*, чтобы судить о томъ высокомъ положеніи, какое Гюи де-Мопассанъ занялъ въ исторіи Всемірной литературы. Памятникъ воздвигнутый ему въ *Парижѣ* краснорѣчиво говоритъ о симпатіяхъ *французской націи*. Его произведенія разошлись разновременно болѣе *300 изданій* въ сотняхъ тысячъ экземплярахъ и *переведены на языки всѣхъ народовъ*. Сочиненія его особенно большой интересъ представляютъ теперь, когда такъ много говорятъ О ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНІЯХЪ МУЖЧИНЪ и ЖЕНЩИНЪ. Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи *правдивой дѣйствительности*. Книги высылаются наложеннымъ платежомъ.

Задатокъ въ размѣрѣ 2 руб. 50 коп. прошу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не выполняются.

Единст. Складъ для всей Россіи С. Петербургъ Петерб. Сторона большой пр., 56-1
Я. К. ПЕТЕРСЪ.

მოითხოვეთ ყველგან

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა

ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ახალციხეში, ტაშკენთში. ბათომში; მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადადებ-გადმოღება

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866½ დესეტინა ვენახი. საიდამაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ძალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

ელექტრო-მბეჭდავ სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.